პრეზიდენტ თომას ს. მონსონის მიერ



გამოძებნეთ დრო მხსნელისთვის

მოგვიახლოვდა კიდევ ერთი შობა და მასთან ერთად ახალი წლის დასაწყისი. თითქოს ჯერ კიდევ გუშინ ჩვენ ვზეიმობდით მხსნელის დაბადებას და დაპირებებს ვიძლეოდით.

ამ წლის დაპირებებს შორის გაგვახსენდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში უნდა გამოვნახოთ მხსნელისთვის დრო, გულში კი - ადგილი? არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რაოდენ წარმატებულნი ვიყავით ამაში აქამდე; მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველას გვსურს ამაზე მეტი. ეს შობის სეზონი არის შესანიშნავი დრო იმისთვის, რომ განვიხილოთ და განვაახლოთ ჩვენი მცდელობები.

ჩვენს დაკავებულ ცხოვრებაში იმდენი რამე იპყრობს ყურადღებას, რომ აუცილებელია მოვახდინოთ გააზრებული, ვალდებულების სახით აღებული მცდელობა – შემოვიყვანოთ ჩვენს ცხოვრებაში და სახლებში ქრისტე. და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენც, როგორც მოგვებმა აღმოსავლეთიდან, მივაპყროთ მზერა მის ვარსკვლავს, რომ "მივიდეთ, რათა თაყვანი ვცეთ მას".[1]

დროთა განმავლობაში იესოს გზავნილი უცვლელი რჩება თაობებისთვის. გალილეას სანაპიროზე მან უთხრა პეტრესა და ანდრიას: "მომყევით მე".[2] ფილიპეს მოუხმო: "მომყევი მე"[3] ლევიანელებს, რომლებიც ბაჟზე ისხდნენ, შემოუთვალა: "მომყევით მე".[4] და მეც და თქვენც, თუკი უბრალოდ მოვუსმენთ, იგივე მოპატიჟებას გავიგონებთ: "მომყევით მე".[5]

როცა მის ნაკვალევს მივყვებით და მის მაგალითს ვბაძავთ, ჩვენ მივიღებთ იმის საშუალებას, რომ სხვების ცხოვრება დავლოცოთ. იესო გვიწვევს, არ დავზოგოთ თავი: "აჰა, უფალი მოითხოვს გულს და მოწადინებულ გონებას".[6]

გყავთ ვინმე, ვისაც შეგიძლიათ ემსახუროთ ამ მომავალ შობას? არის ვინმე, ვინც ელის თქვენს მოსვლას?

წლების წინ მე მოხუცებულთა სახლში მოვინახულე ერთი ქვრივი. ჩემი იქ ყოფნის დროს კარზე ზარი დაირეკა. კართან იდგა ძალიან ცნობილი და ამ მიზეზის გამო ძალიან დაკავებული ექიმი. იგი გამოძახებით არ მოსულა, უბრალოდ შთაგონება მიიღო – მისულიყო მარტოხელა პაციენტთან.

ამ სეზონის დროს, გულჩათხრობილთ გული მიუწევთ და მოუთმენლად ელიან საშობაო ვიზიტს. ერთხელ შობის დროს, როცა მოხუცებულთა პანსიონატს ვეწვიე, მე ხუთ მოხუცებულ ქალბატონს ვესაუბრე, ყველაზე უფროსი 101 წლის გახლდათ. იგი უსინათლო იყო, თუმცა ხმაზე მიცნო.

"ეპისკოპოსო, თქვენ წელს ცოტა დაგაგვიანდათ"! მითხრა მან. "მე მეგონა, რომ აღარ მოხვიდოდით".

ჩვენ ერთად შესანიშნავი დრო გავატარეთ. თუმცა ერთი პაციენტი სულმოუთმენლად ფანჯრიდან იყურებოდა და განუწყვეტლივ იმეორებდა: "მე ვიცი, რომ ჩემი ბიჭი მოვა დღეს ჩემს სანახავად". მე ეჭვი მეპარებოდა, რომ იგი მოვიდოდა, რადგან ყოფილა სხვა შემთხვევები, როცა მას შობას არც დაურეკავს.

ამ წელიწადში არის დრო, როცა შეგვიძლია დახმარების ხელი გავუწოდოთ სხვას, გულის სიყვარული და მოსურნე სული გავუზიაროთ ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მივყვეთ მაგალითს, რომელიც მხსნელმა დაგვიტოვა და ვემსახუროთ სხვებს ისე, როგორც მას სურს. ჩვენი მისადმი მსახურებისას ჩვენ არ დავკარგავთ იმის საშუალებას (როგორც ეს ძველად სასტუმროს მფლობელს დაემართა)[7] რომ დავუთმოთ მას დრო ჩვენს ცხოვრებაში და ადგილი – ჩვენს გულებში.

გვესმის ჩინებული დაპირება, რომელიც მინდორში მყოფ მწყემსებს ანგელოზმა მისცა: "გახარებთ დიდ სიხარულს. . . .დღეს . . . თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი"[8]

მაშინ, როცა შობის საჩუქრებს ვჩუქნით ერთმანეთს, დაე, გვახსოვდეს, მადლიერნი ვიყოთ და მივიღოთ ძღვენთა ძღვენი - მხსნელისა და გამომსყიდველის მიერ ნაბოძები, რათა მივიღოთ მარადიული ცხოვრება.

"რამეთუ რას არგებს ადამიანს, თუკი მას ძღვენს მიართმევენ და იგი ამ ძღვენს არ მიიღებს? აჰა, იგი ხარობს არც იმით, რასაც აძლევენ და არც იმით, ვისი ხელიდან იღებს ამ ძღვენს".[9]

დაე, მივყვეთ მას, ვემსახუროთ, პატივი ვცეთ და მივიღოთ ცხოვრებაში მისი მრავალი ძღვენი, რათა, როგორც ლეხის მამამ თქვა, "მოვექცეთ მის მოსიყვარულე მკლავებში მარადისობაში".[10]

შენიშვნები

1. მათე 2:2.
2. მათე 4:19.
3. იოანე 1:43.
4. მათე 9:9.
5. მოძღვრება და აღთქმები 38:22.
6. მოძღვრება და აღთქმები 64:34.
7. იხილეთ ლუკა 2:7.
8. ლუკა 2:10-11.
9. მოძღვრება და აღთქმები 88:33.
10. 2 ნეფი 1:15.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტი მონსონი მოგვიწოდებს "გამოვიჩინოთ გააზრებული ძალისხმევა იმისთვის, რომ ცხოვრებაში და სახლებში ქრისტე შემოვიყვანოთ. განიხილეთ მათთან, ვისაც ასწავლით, როგორ შეუძლიათ ინდივიდუალურად ან როგორც ოჯახმა, გამოიჩინონ ეს გააზრებული მცდელობა. შეგიძლიათ სთხოვოთ მოიფიქრონ ვინმე ან რომელიმე ოჯახი, ვისაც ეწვევიან ან მოემსახურებიან ამ შობას. ამ წელიწადში არის დრო, როცა შეგვიძლია დახმარების ხელი გავუწოდოთ სხვას, გავუზიაროთ გულის სიყვარული და მოსურნე სული".

ახალგაზრდები

შობის დროს მსახურების ხერხები

პრეზიდენტი მონსონი პოულობს დროს მოხუცებულთა მოსანახულებლად პანსიონატებში, განსაკუთრებით შობის პერიოდში. მან აღნიშნა, რომ არსებობენ გახარებული მოხუცები, რადგან ისინი მოინახულეს და ისეთებიც, რომლებიც ნატრობენ მნახველების მოსვლას, ისეთნი, ვისაც არასდროს არ აკითხავენ. არიან ადამიანები, რომლებიც ელიან ვინმეს მოსვლას. იქნებ ამ შობაზე *თქვენ* იყოთ ეს ვინმე.

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ხერხი იმისთვის, რომ შობის დროს არავინ არ გრძნობდეს თავს მარტო. თამამად იფიქრეთ იმაზე, როგორ მიწვდეთ ადამიანიებს თქვენს ირგვლივ ამ სეზონზე. "არის ვინმე, ვინც ელის თქვენს მოსვლას?

- დაამზადეთ საშობაო ბარათები თქვენი მრევლის მისიონერებისთვის, მარტოხელებისთვის და მოხუცებული წევრებისთვის.
- ჩაეწერეთ მოხალისედ თემის ადგილობრივ ორგანიზაციაში.
- დაურიგეთ მორმონის წიგნი მეგობრებსა და მეზობლებს საშობაო საჩუქრის სახით.
- მოინახულეთ ოჯახის ან მრევლის მოხუცებული წევრები.
- მოუმზადეთ და სახლში მიუტანეთ მეზობლებს ტკბილეული.

ბავშვები

მიჰყევით ნათელს

ქრისტე რომ დაიბადა, მოგვებმა მას ძღვენი მიართვეს. ისინი ახალ, კაშკაშა ვარსკვლავს მიჰყვებოდნენ ქრისტეს მოსაძებნად. რა ძღვენი შეგიძლიათ მიართვათ ქრისტეს?

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, December 2015*. Georgian. 12592 131

იესო ქრისტეს თვისებები: თანაგრძნობა და სიკეთე

ლოცვის განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის მხსნელის მისიისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვისაც თქვენ სტუმრობთ შინა მასწავლებლის პროგრამით? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის თვისებებს.

"წმინდა წერილში თანაგრძნობა სიტყვასიტყვით ნიშნავს 'ერთად ტანჯვას'. ეს ასევე ნიშნავს სხვების მიმართ სიბრალულის, შეცოდებისა და წყალობის გამოხატვას".[1]

"იესომ გვიჩვენა თანაგრძნობის მრავალი მაგალითი", - თქვა პრეზიდენტმა მონსონმა: "ხეიბარი ბეთ-ხაზდას ტბასთან; მრუშობაში მხილებული ქალი; იაკობის ჭასთან მყოფი ქალი; იაიროსის ქალიშვილი; მართასა და მარიამის ძმა, ლაზარე – ყოველი მათგანი წარმოადგენდა დაზარალებულს იერიხოს გზაზე. ყოველივე მათგანს დახმარება ესაჭიროებოდა.

"ხეიბარს ბეთ-ხაზდას აუზიდან იესომ უთხრა: 'ადექი, აიღე შენი სარეცელი და გაიარე'. ცოდვილ ქალს მისეცა რჩევა: 'წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავ'. მის დასახმარებლად, რომელიც წყლის ასაღებად მოვიდა, უფალმა შესთავაზა წყლის წყარო, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს'. იაიროსის გარდაცვლილ ქალიშვილს უბრძანა: 'გოგონა, შენ გეუბნები, ადექი!" სამარხში მყოფ ლაზარეს კი შესძახა: 'გამოდი'.

"მხსნელი ყოველთვის თანაგრძნობის უსაზღვრო უნარს ამჟღავნებდა. . . . მოდით, გავხსნათ ჩვენი გულების კარი, რათა მან, ვინც ჭეშმარიტი თანაგრძნობის მაგალითია, შეძლოს შემოსვლა".[2]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

ფსალმუნი 145:8; ზაქარია 7:9; 1 პეტრე 3:8-7; მოსია 15:1,9; 3 ნეფი 17:5–7

წმინდა წერილიდან

"მე და ჩემი მეუღლე მუხლმოდრეკილი ვევედრებოდით ჩვენი 17 წლის ქალიშვილის სიცოცხლის გადარჩენას", – თქვა ლინდა ს. რივსმა, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა. "პასუხი უარყოფითი იყო, მაგრამ . . . . ჩვენ შევიტყვეთ, . . . რომ . . . [მხსნელი] გვითანაგრძნობს მწუხარების დროს".[3]

"ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ამბავი მხსნელის ცხოვრებიდან არის ლაზარეს ამბავი. წმინდა წერილიდან ვიცით, რომ 'იესოს უყვარდა მართა, . . . მისი და [მარიამი] და [მათი ძმა] ლაზარე".[4] როცა ლაზარე ავად გახდა, იესომ შეიტყო ამის შესახებ, მაგრამ როცა ადგილზე მივიდა, ლაზარე უკვე მკვდარი დახვდა. მარიამმა მიირბინა იესოსთან, მის ფერხთით დაემხო და ქვითინებდა. როცა იესომ დაინახა მტირალი მარიამი, "შეიძრა სულით და ატირდა"(იოანე 11:33, 35).

"ჩვენც ეს გვევალება. ჩვენ ჯერ თავად უნდა ვიგრძნოთ, დავინახოთ და შემდგომ დავეხმაროთ მამაზეციერის ყოველ შვილს იგრძნოს, დაინახოს და შეიტყოს, რომ მხსნელმა საკუთარ თავზე აიღო არა მხოლოდ ყოველი ჩვენი ცოდვა, არამედ ყოველი ჩვენი ტკივილი, ტანჯვა და განსაცდელი, რათა სცოდნოდა, რას ვგრძნობთ და როგორ ვენუგეშებინეთ ჩვენ".[5]

შენიშვნები

1. Guide to the Scriptures, "Compassion."
2. თომას ს. მონსონი, "The Gift of Compassion," *Liahona,* მარტი 2007, 4-5, 8.
3. Linda S. Reeves, "The Lord Has Not Forgotten You," *Liahona,* Nov. 2012, 120.
4. Linda S. Reeves, "The Lord Has Not Forgotten You," 118.
5. Linda S. Reeves, "The Lord Has Not

განიხილეთ შემდეგი

ვინ იქნება დალოცვილი თქვენი თანაგრძნობის გამო?

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *Visiting Teaching Message, December 2015.* Georgian. 12592 131